



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 295

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2016 წელი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის № 67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატოს ლოტი №38 (223) თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა
ლოტი № 38

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის №	მისამართი	x	y	
1	223	მწვანე გაზონი	03.04.32.644	ქუთაისი, ლ.ასათიანის ქუჩა № 98-ის სამხრეთით	309577,61032 309577,26756	4680036,10482 4680034,5549	ორმხრივი

შენიშვნა: № 223 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე ფარების მაჩვენებელი სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 1.80 მ. სიგრძეს და ვერტიკალურად 5.50 მ. სიგრძეს, ხოლო სიგანე უნდა შეადგენდეს არაუმეტეს, 0.35 მ.-ს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი